


აღორძინდა ომამდელი და წარმოიშვა ახალი წინააღმდეგობანი იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის. სულ უფრო ძლიერ ჩაღდება ბრძოლა ინგლისელ და დასავლეთგერმანელ იმპერიალისტებს შორის დასავლეთ ევროპაში გაბატონებული მდგომარეობისათვის. საფრანგეთის იმპერიალიზმი ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ცდილობს დაეყრდნოს თავის გუშინდელ მტერს—დასავლეთგერმანიის მონოპოლიებს. მაგრამ ეს ბუნების საწინააღმდეგო კავშირი, ისევე როგორც ქორწინება ანგარიშით, სულ უფრო ხშირად თვით საფრანგეთის წინააღმდეგ მოქმედებს.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საანგარიშო მოხსენებიდან სკკპ XXII ყრილობაზე).





საქართველოს

საზოგადოებრივი

ბედნიერ ვარსკვლავზე დაიბადა კოლია კაკაბაძე. უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც დედამიწაზე დაბოგინობს და ოფლი მხოლოდ ასპირინის მიღების დროს თუ გამოსვლია, არა და არ დაკლებია ამქვეყნიური სიამოვნება.

— წუთისოფელი მეწველი ძროხაა და, თუ ბიჭად ბიჭი ვარგინარ, უნდა წველო და წველოო.—ამბობდა კოლია და მკლავებს იკაპიწებდა საწველად.

ალბათ ამ მიზნით დაამთავრა 1932 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

იმუშავა თბილისში მოსამართლედ, შემდეგ თავისი მოღვაწეობა გაშალა ლაგოდეხში, ამჯერად უკვე გამოძიებლობას მიჰყო ხელი. (მე შენ გეტყვი და ნელდად შეპქმნიდა ხესა ხმელსა მისი ნაქმნი სამართალი). მერე იფიქრა, იმსჯელა და დაასკვნა: გამოძიებელთან და მოსამართლესთან უმთავრესად ვაჭრობის მუშაებს აქვთ საქმეო, მაშასადამე, ფული უშუალოდ მათ ხელში ტრიალებსო, ფული კი ყოველგვარი კეთილდღეობის წყაროაო და, თუ ეს ასეა, დროს რატომღა ვკარგავო და მოსამართლის სკამიდან პირდაპირ მეზუფეტის დახლთან ისკუპა, იქიდან კი მზარეულის ქვაბთან ამოჰყო თავი. (ჰო, რა ზუსტი იქნებოდა კოლიას გაცემული ულუფა).

— კაცმა ისე უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაზე, რომ ხელებზე ერთი ბებერაც არ უნდა გაგინდესო,—ამბობდა კოლია.

— ცოტა არ იყოს, მზარეულობასა და მეზუფეტეობას შრომა ნდომებია და, მე რომ ამ ბუფეტში დავრჩე, ბიჭობას ვინ

დამიგდებსო.—თქვა და ათას ცხრაას ორმოცდათექვსმეტი წლიდან საერთოდ ყოველგვარ შრომაზე აიღო ხელი.

— რა კარგი რამ არის ცხვარი, გაპარსავ, ხმას არ იღებს, მოწველი, ჩუმადაა, დაკლავ და ერთი საყვედურიც არ წამოსცდება. მერედა რამდენი ცხვარივით ადამიანი დადის ამ დუნიაზე. ო, რა პურის ჭამა შეიძლება ამ ცხვარკაცა ადამიანებით, მით უმეტეს, ახლა ხელში კარაბადინი რომ მიჭირავს. ვენაცვალე მის მომონს, ჩემთვის არ დაუწერია იმ ოჯახსაშენებულსო,—თქვა კოლიამ და ცხაკაიას რკინიგზის ჯიხურს მიაშურა.

— ჩემო იულია, ერთი წყვილი ცოლ-შვილი მოშორებული მყავს, ხელში კარაბადინი მაქვს და თავში ჭკუა. შენ ცოლი და მე ქმარი. ეს ჯიხური კი შენც გეყოფა საბუშაოდ და მეც კლიენტების მისაღებად. და მოყურდა მას შემდეგ კოლია ჯიხურში.

მართალია, რკინიგზის ჯიხურზე კოლიას აბრა არ გაუკარავს: მე, კოლია კაკაბაძე, დაბადებული 1909 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიში, ვწინასწარმეტყველებ და ვწერ რეცეპტებს, რომლებიც უებარი საშუალებაა ყოველგვარ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ ადამიანისათვის, მაგრამ ეს ამბავი ექოსავით გავარდა ჯერ ახლომახლო რაიონებში და შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო.

გაშლიდა კოლია კარაბადინს, შეხედავდა მოსულს და ეტყობდა:

— იცოდე, მე იმ მკითხავს კი არა ვგავარ, რომელიც ყველაფერს კარგს ეუბნება კლიენტს, რათა მისი გული მოინადიროს. არა, ვენაცვალე, სიცრუეს მე ვერ დამაცდენინებ, თუ ცუდი ამოვიკითხე, ცუდს გეტყვი, თუ კარგი, კარგს, მორჩა და გათავდა.

ტყუილად როდი მუშაობდა კაკაბაძე გამოძიებლად. პატარა პრაქტიკა როდი მიიღო იქ. კოლია გუმანიტა და გამოცდილებით უკვე გრძნობდა, თუ ვის რა აწუხებდა.

— აბა, მითხარი რამდენი წლისაა მამაშენი? დედაშენი? შენ რომელ წელს დაიბადე და რა დღეს? მდაა, ფრთხილად იყავ, ვილაც შავი კაცი გემტერება, ხუთშაბათობით გარეთ არ გამოხვიდე, ვილაც მოგკლავს, როგორ არცდინო ეგ უბედურება? რას იზამ, მოგცემ რეცეპტს, მხოლოდ...—და კოლია «წინასწარმეტყველი» დამატებით გასამრჯელოს აცუტებს ჯიბეში. შეშინებულ კლიენტს კი გული მისდის და ვალერიანის წვეთებით აბრუნებენ.

კოლია კი განაგრძობს:

- თქვენ შეყვარებული ხართ, გაისად გათხოვდებით.
- თქვენ ქმარს გაეყრებით და ისევ გათხოვდებით.
- თქვენ ბავშვი გაგინდათ ავად, რეცეპტია საჭირო.
- თქვენ ქმარი გღალატობთ, ახლობელია დამნაშავე.

— თქვენ კი კოლია კაკაბაძე თაღლითი ხართ და დამნაშავე ისევ თქვენა ხართ, რადგან თვითონ არ გწამთ, რასაც წინასწარმეტყველებთ. იქნებ სირცხვილით მაინც გამოგივიდეთ ოფლი. ან იქნებ ისეთ აბანოში გაგზავნონ, სადაც უფასოდ გამოგადენენ ოფლს.

გ. პატარაძე

ნან. გ. ფირცხალავასი



ტრანსლაციის ტრანსლაცია



საქართველოს სსრ ხანალო მეთურნობის საბჭოს სპეციალური საკონსტრუქტორთა ბიუროს მოწოდებულია შექმნას მანქანების კომპლექსი ჩაის მეთურნობისა და სამთა მიწათმოქმედებისათვის, კონსტრუქტორთა ერთი ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ ერთხლოდ მუშაობდეს კარგი მანქანების შესაქმნელად, მიმართავს ხრიკებს და ინტრიგებს, და ვაჭრობას ეწევა ჯერ კიდევ არარსებული მანქანების პრიორიტეტის გამო. (საქართველოს კპ XXI ყრილობის მასალებიდან).



ჩხუბი მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფაზე.

# ს ა მ დ ა ს ა ს ა ს უ რ ა

შემოდგომაზე სტუმრობას რა ჯობია. ვინ გოჭი გამოიღებს თავბატიქს. კოდაში დაბატი-ქებულები ლილინ-ლილინითა და მხიარული შე-დახილებით ჩაველით. სოფლის მალაზიის წინ შუახნის ახოვანმა კაცმა შეგვაჩერა.

— წამოდით, თქვენ გენაცვალეთ შნოსა და მარილათში.

— აი, მასპინძელიც ასეთი უნდა, — შევეხმია-ნეთ დამხვდურს.

— აშენება თქვენს ოჯახს, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, ისეთი დაბრაწული მოგარ-ოვათ, ყურებით ვერ გაძღეთ.

— რაზე წუხლებით, ბატონო, კახელაანთ იოსებასთან ვართ მიპატივებული და იქ გია-ხლებით.

— რამდენი ოჯახის წინაშეც მე ამაგი მიმი-ძღვის, რამდენი ოჯახის აშენებაშიც წილი მიღვეს, რამდენი სახლი და სასახლე ჩემი შემწეობით წამოვიწყებულა მაგ თქვენს თბილის-შიც და რას მერიდებით, არ ვიცი რამდენი გინდათ, თქვით და გაგათავოთ!

— რა უნდა გაგათავოთ, რაც არ დაგვიწყია, ბატონო.

— კაცო, რას მერიდებით, საბუთით გინდათ, საბუთით იყოს, უსაბუთოდ — ჩემი თავი თქვენ გენაცვალეთ, ბოლოს და ბოლოს, აგურია, ოქ-როს ხომ არ არის. წამობრძანდით, ქარხანამდე ჩემი ფეხით მიგიყვანთ, აგურაა, ცხვირწინ.

— არ გვინდა, ძმაო, საქეიფოდ მივდივართ, გვაგვიანდება.

— ქვიფს ყოველთვის მოეწონებოდა შთამო-მავლობაზე იფიქრეთ, საქმეზე იფიქრეთ, სახლის გაკეთებაზე, ვენახის გაშენებაზე, აშენებაზე, დამშენებაზე... წამობრძანდით, დროს რა-ტომ კარგავთ...

უკვბ ვილაც კოლმეურნე მოგვიანდებოდა და ჩვენს აბეზარ თანამოსახლებურს ლაპარაკის იშტა წაართვა.

— შენ, ეი, მაშინ რომ ყურები გადამაღლი-ტე მაგ შენი აგურის ქებითა, ოთხი ათასი აგური რომ გამატანე და ათი ათასი ქება დაუსართე, ეგაა შენი ნაქები აგური?

— როგორ, ფერი არ უყარვოდა?

— ფერი, იცოცხლე, მწიფე ბამილორისა

ქონდა, მაგრამ, ერთი გავივიდა თუ არა, ციგ წყალში მოზულილი ცომით დასკდა.

— კარში დალაგე?

— აბა ხალიჩაზე ხომ არ დაეაწყობდი!

— ქარში იყო?

— იყო!

— მზეც აცხუნებდა?

— მაშა!

— აბა შენ დაგიღებია შენი ოჯახი და ჩემთან რაღა გინდა. ჩვენი თეთრი წყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომინატის კო-დის აგურის ქარხნის მიერ გამოშვებული ძვი-რუასი აგური, ხომ იცი, უხეშ მოპყრობას ვერ იტანს. საქონელს მოვლა უნდა, ძმაო მოვლა.

— ე, როგორათ?

— მოვლა უნდა — მეთქი, მოვლა.

— მოვლა რა, ძუძუს ბავშვივით თბილებში ხომ არ გავახვევდი?

— არ გაახვიე და ხომ დაგუგუნა ტუშელი-ვით...

— არაფერი არ ვიცი, აი თქვენი აგურის ნაფშვენიები, გინდა გაყიდეთ და გინდა თავში იხალეთ, თქვენ თქვენთვისა და მე ჩემთვისა.

— არა, ძმაო, აქ საქოს ღუქანი კი არ არის, გაყიდულს უკან არ დავიბრუნებ. იყიდე? ღმე-რთმა მშვიდობაში მოგამაროს.

— არ მინდა, კაცო, მე აგური მინდოდა, ნაფშვენიები კი არა.

— აი, ძმაო, ნასწავლი ხალხია, ამათა ვკით-ხთ, გაყიდული საქონელი უკან მიიღება?

— საქონელზეა დამოკიდებული!

— ერთი ამათ უყურეთ, ქვეყანაზე არაფერი გინახავთ? ხალხი მეგონა... არ მინდა, ძმაო, აღარ ვყიდი, იყოს ჩემთან, კახელაანთ იოსება მითხარი და მისი სტუმრების ხეირი...

\*\*\*

მსგავსი შემთხვევები კოდაში იშვიათი არ არის. ქარხანა თვეში 140 ათასამდე ცალ აგურს უშვებს, თეთრი წყაროს რაიმერეკომ-ბინატი რაიონის სოფლის მალაზიებს. ავალებს მის გასაღებას. სოფლის მალაზიების გამეგები სათოფეზე არ ეკარებიან კოდის ზარალაან

აგურს. მანგლისის სოფლის კოოპერატივის წინ დაფშენილი ოთხი ათასი აგური ახლაც წყველის თავის გამოშვების დღეს, ქარხანა კი უშვებს და უშვებს აყალო გაუტრელი თინისაგან შე-თითხნილ აგურს.

„ნიანგი“ დიდხანს ფიქრობდა კოდის ქარხნის მიერ გამოშვებული აგურის რენტაბელურ გამოყენებაზე და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

1. კოდის აგურის ქარხნის პროდუქტი პირ-დაპირ მისწრება ბაღების ბილიკების მოსაყი-რად. (აგურის ჯამტგრევაზე დირექციას თითქმის არავითარი ხარჯის გაღება არ მოუ-წევს; ერთი წვიმა და მისი ჯანი).

2. მშენებლობაზე მის გამოსაყენებლად სა-ჭირა ქარხნიდან წამოღებამდე ქარხნის ეზოშივე სანტიმეტრის სისქის ღუღაბით ყოვე-ლი მხრიდან შებათქაშდეს თითოეული მათგანი.

3. მანქანაზე დაწყობამდე თითოეული აგური შეიფუთოს ბამბის ან მატყლის ფთილებით.


4. აგურს არ უნდა მოხვდეს არც წვიმა, არც ქარი, არც მზე და არც თოვლი.

5. კოდის ქარხნის აგურით ამოყვანილი კედლის გასწვრივ უნდა აიგოს ბეტონის კედ-ლი, რომელიც საიმედოდ დაიცავს ნაგებო-ბას ქარის დამანგრეველი მოქმედებისაგან.

6. ყოველი შემოტყმული წვისის ზედმიწევ-ნით დაცვისას ქარხანა იძლევა აგურის გაძღე-ბის გარანტიას.

ნუ გერიდებათ, შეიძინეთ კოდის აგური. ოღონდ ერიდეთ წვიმას, ქარსა და მზეს.

*ნახე*





# პრეზერვატივი მგ-ეუენი



სამწუხაროდ (ძალიან სამწუხაროდ), გაზეთში ამოვიკითხეთ ხოლმე: ამან და ამან აღძრა საქმე ამასთან და ამასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს... და სხვა.

სამწუხაროდ, სასამართლოებში ვხედავთ ახალგაზრდების დამწუხრებულ (ან თავხედურად გაღიმებულ) სახეს. დგანან და ელიან — გამოვა მოსამართლე და გაგვაქორწინებს. მოსამართლენი კი გადაუდებელ საქმეების განხილვას სცდებიან და ზოგიერთი ცუდმედოდა ახალგაზრდების ცოლქმრული ჩხირკედლეობის განსჯას ანდომებენ ძვირფას დროს.

გივი ჯოლბორდმა თითი შუბლთან მიიღო და მრავალნაჯადი ბრძენივით თქვა: მე წილად მხვდა ბედნიერება, გამოვცხენო საშუალება, რომელიც გაზეთს და სასამართლოს ამ ზედმეტი ტვირთისაგან იხსნის.

და კიდევ იხსნა. აღარაა საჭირო არც გაზეთში გამოქვეყნება და ფულის გადახდა, არც სასამართლოში მოწმეთა თანდასწრებით საქმის განხილვა და ჯარიმა. უბრალოდ, საჭიროა პასპორტის „დაკარგვა“ და ახალი პასპორტის მი-

ღება, რასაც მხოლოდ ერთი განცხადება და ერთი ცდა დაატაკიანი მარკა ეყოფა. ამის შემდეგ უკვე უცოლშვილო ხართ და უფლება გეძლევათ ხელმეორედ ქორწინებისა.

ეს ბრძნული მეთოდი გივიმ ჯერ თავისთავზე სცადა და, შესძლებს თუ არა მოსახლეობაში ამ მეთოდის ფართოდ დანერგვას, მომავალი დაგვანახვებს.

23 წლის გივი ჯოლბორდმა 1955 წლის 25 დეკემბერს დროებითი მოწმობის მაგიერ გორში მიიღო პასპორტი XI ოფ № 597201 და რვა თვის შემდეგ ტანია ანტონენკოსთან კანონიერად იქორწინა. ტანიას ახლოს არ ვიცნობთ. სანდომიანი სახის კეთილშობილი ადამიანი ჩანს. ნაცნობებზე ასე ახასიათებენ. გივის რა მოეჩვენა, ვინ იცის. ეს ვიცით, რომ ერთი წელიც არ იყო გასული ქორწინებიდან, როცა გივიმ 1957 წლის 5 აპრილს მიიღო მეორე პასპორტი — XII ოფ № 719418 (ძველი პასპორტი დავკარგეო, ასე თქვა მილიციაში) და კახეთისაკენ გაემგზავრა, სოფელ ახაშენს ეწვია და და იქაური ქალიშვილების გულის მონადირება დაიწყო.

ნ.ხ. ზ. გოგოლაძის



— გაცხოველებული მუშაობაა, შენ კი რას აკეთებ აქ?  
— არაფერს, სათბობს ვზოგავ.

იქნებ მარტო გივი ვერაფერს გამხდარიყო, მას რომ თავისი „გამზრდელი“ სერგო სანამიანი არ მიხმარებოდა. ეს ის სანამიანია, გორში რომ თორმეტოთახიანი ორსართულიანი სასახლე აიშენა და ყალთაბანდობისათვის გაზეთებმა ქვეყანას ვააცხენეს. სასახლის პატრონს ცხოვრებაც რაინდული უნდა ჰქონდესო. ალბათ, ამიტომ გააცნო სერგომ სიძე-კაცი გივი ჯოლბორდი გულნარა კობიაშვილს. შუამავალს კრინტიც არ დაუძრავს, რომ რეკომენდებული სასიძო ცოლიანია და ახაშენში ქორწილი გაიმართა.

გივიმ და გულნარამ სასოფლო საბჭოში მოაწერეს ხელი.

თვენახევრის შემდეგ სიძე უკვალოდ მიიშალა.

აფრინეს დებუებები, წერილები, არიქა, სიძე დავკარგეთო. გივი არსად ჩანდა. სერგო სანამიანმა ცრემლებით დამბალი წერილიც გაუგზავნა გულნარას, მისი მწუხარება გაიზიარა და დახმარება აღუთქვა.

სიძე მაინც არ ჩანდა.

მაგრამ სიძე შორს არსად წასულა. მეორე პასპორტის აღებიდან სამი თვე რომ გავიდა, გივის ისევ მოუარა დაცოლშვილების ჟინმა და ისევ გორის მილიციას ეწვია — პასპორტი დავკარგეო. 1957 წლის 2 ივლისს სიძეს ახალი პასპორტი მიართვეს — XIV ოფ № 673545. ამ ახალ პასპორტში კვლავ უცოლშვილოდ მოინათლა.

გივიმ მესამე სუფთა პასპორტი მიიღო და მესამედ იქორწინა, ახლა ლამარა დარისპანიშვილზე. თქვენ გგონიათ ხელი მოაწერა? არა, „ჭკუა იხმარა“ და ცოლი ხელმოუწერლად მოიყვანა. მაშ არადა, მესამე პასპორტსაც „გააჭუჭყიანებდა“.


ცხოვრობს ახლა მესამედ გამიჯნურებული დონ ქუანი, ერთი შვილი გაუფორმებელი ჰყავს, მეორეც მალე შეეძინება, ტანია ნაღვლობს თავის შეცდომას და დღესაც გივის ცოლად ითვლება. გულნარა დარდმა დააავადმყოფა და ერთ ხანს ლოგინად ჩავარდა, გივი კი არც ერთთან არ ფიქრობს სასამართლოში საქმის აღძვრას და კანონიერ განქორწინებას.

— რა იყო, რა, — გვითხრა გივიმ გორის პროკურატურაში, — ოცდაცხრა წლის ახალგაზრდა კაცი ვარ, მე ეხლა ვიწყებ ცხოვრებას.

ზოგიერთმა პროკურატურაში აზრი გამოთქვა, — გივიმ ცხოვრება ახალგაზრდობაშივე დაამთავრა.

ასეა თუ ისე, წერტილის დასმა აუცილებელია.

გ. რაბველიშვილი



ნიანგი



ფოტოხაზელი



კვლავ უამრავმა ჟურნალისტმა, ფოტოკორესპონდენტმა, რადიოკომენტატორმა და მკითხველმა მოიყარა თავი ნიანგის მიერ მოწყობილ კითხვა-პასუხის საღამოზე. მისასალმებელი სიტყვის შემდეგ, რომლითაც ნიანგმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა, დაიწყო შეკითხვებზე პასუხის გაცემა. პირველი კითხვით ნიანგს უჩამბის სოფსაბჭოს სამოღეთის კოლმეურნეობის მშრომელებმა მიმართეს.

კითხვა: ძვირფასო ნიანგო, სხვებზე ნაკლები მშრომელები არც ჩვენა ვართ და კულტურული დასვენება ჩვენც გვინდა, მაგრამ შუახვევის რაიონის კულტურის განყოფილება ყურადღებას არ გვაქცევს, გვიგზავნის საზიზღარ კინოსურათებს. არის შემთხვევა, გამოაკრავენ აფიშას ამა თუ იმ ფილმის დასახელებით, შემდეგ კი სხვა კინოსურათი მოაქვთ. ვარდა მაგისა, ფილმი «გლახის ნაამბობი» ყველა მეზობელ სოფელში უჩვენეს, ჩვენთან კი არა. პოლა, გვითხარი, საყვარელო ნიანგო, როდის გვეღირსება წესიერი კინოსურათი!

პასუხი: ძალიან სამწუხაროა, მეგობრებო, რომ ასეთ დღეში ხართ, მაგრამ რა გიშველით, წესიერი კინოსურათი თქვენ კი არა, მეც მენტრება. ისე რაც შეეძლება იმას, რომ „გლახის ნაამბობი“ არ გინახავთ, ვფიქრობ, მაგასაც მოესწრებით.

კითხვა: პატივცემულო ნიანგო, მე ქიზიყელი ვარ ბაკაშვილი ვარ, სოფელ საქობოდან. უზრდელობად არ ჩამომართვა და მანდ რომ წყალი გიღვას, ერთი ჭიქა დამალევიე, თორემ გული წამივა. (ნიანგი წყალს აწვდის ბაკაშვილს). ავაშენა ღმერთმა, საქობოში ერთი წელია წყალი არა გვაქვს და სულს ძლივს ვითქვამთ. მართალია, ჭურში ბევრი ღვინო გვისხნია და ესევეთ კიდევაც გაჭირვებისაგან, მაგრამ ბირუტყვსაც ხომ ღვინოს არ დავალევიებთ.

გვიჩიე, როგორ მოვიქცეთ, ძვირფასო ნიანგო! პასუხი: ჭურში რომ ბევრი ღვინო გისხნია, ეგ კარგია, მაგრამ როგორც ჩანს, თქვენი სოფსაბჭოს თავმჯდომარეც ჭურში უნის. უთხარით ჭურშიდან ამოვიღეს. სოფლის სათავეში რომ წყაროები გაიპარა, ის მონახოს, სოფელს წყალი მიაწოდოს და მერე თუ უნდა ისევ ჩაძვრეს ჭურში და მთელი სიცოცხლე იქ გაატაროს.

კითხვა: საყვარელო ნიანგო, ჩვენ გრემისხეველები ვართ, დუშეთის რაიონიდან, ბუზალაძე შოთა და ომარ ტერიშვილი. ვარდა იმისა, რომ გუა, რადიო და აბანო არა გვაქვს, უქიზობაც გვაწუხებს. რაიონის ჯანგანს რომ მივმართეთ, ასე გვითხრა—ჭადიჯურის საექიმო პუნქტით ისარგებლეთო. ჭადიჯური 10 კილომეტრით არის ჩვენგან დაშორებული და იქ რომ მივდივით, ექიმმა აღარ დაგვიჯერა ავადმყოფობა. თუ ავად იყავი, ამხელა გუა როგორ გამოიარეთ. ერთი საკუთარი ექიმი სამუდამოდ მოგვარჩენს, ძვირფასო ნიანგო, და გვიშველე რამე, ან გვასწავლე როგორ მოვიქცეთ.

პასუხი: ღმერთმა დაიფაროს და თუ თქვენი რაიჯანგანის უფროსი შემთხვევით ავად გახდეს, აიყვანეთ და გრემისხევის საექიმო პუნქტში წამოიყვანეთ (თუ ნებით არ წამოვიდეს, ძალით წამოიყვანეთ). იქიდან დუშეთში დარეკოს (თუ ტელეფონი გაქვთ) და უთხრას ავად გავხდი და სასწრაფოდ ექიმი გამომიგზავნეთო, პოლა, როდესაც იქიდან უბასუხებენ ჭადიჯურის საექიმო პუნქტით ისარგებლეთ, იქნებ მაშინ მაინც მიხედოს თქვენს გაჭირვებას.

კითხვა: დიდად პატივცემულო ნიანგო, მე მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიდველის მცხოვრები ვარ და ვაჭარად ვაშლი ვაყვანავ. საქმე იმაშია, რომ ჩვენი სოფლის კლუბის სახურავი ისეა დაცხრილი რომ შიგ კინოს ნახვა კი არა, ისეთი კოკისპირული წვიმა ჩამოდის, ერთხანს მისი აბანოდ გამოიყვანებაც ვცადეთ, მაგრამ ჩვენი უბნის უფროსმა კვირიკაძემ იგი სასიძინედ გადააქცია. ხომ არ გვიჩიე, ნიანგო, როგორ მოვიქცეთ?

ძვირფასო მკითხველებო! მართალია საქართველოს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში წერა-კითხვის მცოდნეთა მიხედვით, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდებიან ჩვენში რუსული ენის უცოდინარები. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად საკურორტო ქალაქ ბორჯომის სასტუმროსთან ჩამოყალიბდა რუსული ენის შემსწავლელთა დაუსწრებელი ინსტიტუტი. სასტუმროს ადმინისტრაციამ სტუდენტთათვის გამოსცა აღნიშნული სახელმძღვანელო, რომლის მსგავსი მსოფლიოში არავის არაფერი უნახავს. მეგობრებო! თუ გსურთ გახდეთ რუსული ენის ბრწყინვალე სპეციალისტები, შედით ამ ინსტიტუტში. მართალია სასტუმროში მოხვედრა ძნელია, მაგრამ სამაგიეროდ, სწავლება უფასოა.

СПИСОК

Абонентов автоматической телефонии станций в гостинице „Боржом“

Table with columns for phone numbers, names, and room numbers. Includes sections for emergency services (КАК ЗВОНИТЬ В ЭКСТРЕННЫХ СЛУЧАЯХ) and a list of subscribers (Абоненты).

ПРИМЕЧАНИЕ: Выход в город через 75. Вход из города через 8.

1. После набора 75 ждите зумера Городского АТС и сообщите телефонные номера Гор. АТС. 2. Из города после набора 8 ждите зумера АТС Гостиницы.

Администрация Гостиницы Боржом

პასუხი: ნიანგი მიესალმება აშხ. კვირიკაძის ინიციატივას. თუ კლუბში ზამთრობით სიძინდს ინახავთ, ადგილი შესაძლებელია, შემოდგომაზე იგი ყურძნის საწურავადაც გამოიყენოთ. შესაძლებელია კლუბის ზოსლად გადაკეთებაც. მაშინ თქვენ გექნებათ უნივერსალური დაწესებულება, რომელსაც, ალბათ, ასეთი აბრა მოუხდება: —კვირიკაძის სახელობის სოფელ დიდველის კლუბსასიძინდემარანბოსელი“. წარწერის გაკეთებას პირადად მე ვკისრულობ და არც დაგამადლით.



სარედაქციო კოლეგია. ა. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, რედაქტორი ნ. შველიძე. ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нiangи“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, ხაერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 13/X-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „ქომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შვკ. № 1789, უფ. 03247. ტირაჟი 40000



იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა მერი მუშაკები ბევრ ძალასა და სახსრებს ჯავენ არააქტუალური თემების დამუშავებაზე. (ერთ-ერთი მეცნიერი თავის ნაშრომში წინადადებას იძლევა საკვებ საშუალებების მოვიყენოთ გლერძა, რომელიც იზრდება დაქანებულ ფერდობებზე უმნიშვნელო დენობით. ამ საკვების მოსაკრფად დაგასაწმენდად ორსანტიმეტრიანი ეკსპანსიონატი, ავტორი წინადადებას იძლევა წარ შევტროსოთ ბუჩქები.  
(საქართველოს კპ XXI ყრილობის სალებიდან).